საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ოთარ შამუგიას

შ.პ.ს. „სილა“ დირექტორის

დავით ჩიტაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ოთარ,

მოგახსენებთ, რომ ქ. ახალციხეში, ადიგენის ქუჩა, „მიმდებარე ტერიტორია“ გამაჩნია ქვიშა ხრეშის სამსხვრევი საამქრო ობიექტი ფუნქციონირებს 2022 წლიდან.

წლიურად საწარმო გამოუშვებს სულ 50000 მ3 (40000 ტ) სხვადასხვა ფრაქციის ქვიშა და ღორღს.

ქვიშა-ხრეშს საწარმო ღებულობს ავტოთვითმცლელებით და ათავსებს ნედლეულის საწყობში, საიდანაც იგი მიეწოდება ჯერ სამსხვრევ დანადგარის ბუნკერს, ხოლო შემდეგ ყბებიან და დოლურას ტიპის სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებს. ამ დანადგარებზე ხდება ქვიშა ხრეშის ორჯერადი მსხვრევა მშრალი მეთოდით. დანადგარებზე ქვიშა-ხრეში იმსხვრევა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად, რომლებიც შემდგომ ლენტური ტრანსპორტირების საშუალებით, საწყობდება მზა პროდუქციის ქვიშა-ღორღის საწყობში.

საწარმოების მუშაობის რეჟიმია: ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი - 260 დღე, დღეში 8 საათი.

საამქროს ფუნქციონირების შედეგად მტვერით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას ადგილი აქვს სამსხვრევი დანადგარიდან, ავტოთვითმცლელიდან ქვიშა ხრეშის ნედლეულის საწყობში ჩამოყრისას, სამსხვრევ ბუნკერში ქვიშა-ხრეშის ჩაყრისას, ლენტური ტრანსპორტიორებიდან ქვიშა ხრეშის საწყობში გადაყრისას,.

საამქროს ფუნქციონირების შედეგად მტვერით (კოდი 2909, მავნეობის საშიშროების კლასი 3, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, (ზდკ)მგ/მ3 მაქსიმალური ერთჯერადი -0,5, საშუალო სადღეღამისო -0,15)

საწარმოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა საწარმოში არსებული ჰაერდამაბინძურებელი 7 არაორგანიზებული გაფრქვევის წყარო, საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ინერტული მასალების მტვერი, კერძოდ:

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში სამსხვრევი დანადგარიდან -გაფრქვევის წყარო 1
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ავტოთვითმცლელებიდან ნედლეულის საწყობში ჩაყრისას გაფრქვევის წყარო -2
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში სამსხვრევის ბუნკერში ნედლეულის ჩაყრისას გაფრქვევის წყარო – 3
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის ლენტური გადაადგილებისას გაფრქვევის წყარო – 4
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) საწყობიდან გაფრქვევის წყარო -5
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) საწყობში განთავსებისას გაფრქვევის წყარო -6
- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის საწყობიდან გაფრქვევის წყარო - 7

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 5.1 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე ირებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი №1 -"დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები"

დანართი №2 - გენ გეგმა

პატივისცემით



დავით ჩიტაშვილი

შ.პ.ს. „სილა" -ს დირექტორი

10,05,2022წ